პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 81-ე წელი

ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი, 1950 წ. № 233 (8793). ფასი 20 კაპ.

ეროვნული

დღეს გაზეთში:

სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ოტო გროტევოლის, ვილჰელმ პიკის და გეორგ დერტინგერის დეპეშები ი. ბ. სტალინის, ნ. შვერნიკისა და ა. ი. ვიშინსკისადმი (1-ლი გვერდი).

გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია (1-ლი და მე-2 გვერდი).

მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის — „პრავდის" 16/X მოწინავე (მე-2 გვერდი).

დამთავრდა რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობაში (მე-3 გვერდი).

პალმირო ტოლიატის მოხსენება იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი დაუღალავად ზრუნავენ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის. ამ მზრუნველობამ ახალი განსახიერება ჰპოვა დიდი სტალინის ინიციატივით შემუშავებულ და მიღებულ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 25 აპრილისა და 5 ოქტომბრის დადგენილებებით — საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორბლის მოყვანის გაფართოების, მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და მევენახეობისა და მეღვინეობის აღმავლობის შესახებ. **საბჭოთა მთავრობის ამ ისტორიულ დადგენილებებში მოცემულია საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა. იწყება ახალი ეტაპი ჩვენი რესპუბლიკის მიწათმოქმედების განვითარების ისტორიაში.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელიც 13-14 ოქტომბერს მიმდინარეობდა, განიხილა საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორბლის მოყვანის გაფართოების, მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და მევენახეობისა და მეღვინეობის აღმავლობის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესრულების ღონისძიებათა საკითხი.

ამ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენება. ამხანაგმა ჩარკვიანმა ღრმა ანალიზი გაუკეთა მარცვლეული მეურნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგში გაწეულ მუშაობას და ვრცლად ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ პარტიის, მთავრობის, ამხანაგ სტალინის ახალი დავალებანი. პლენუმის მიერ ამხანაგ ჩარკვიანის მოხსენების გამო მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად უნდა დაედოს პარტიული ორგანიზაციების მთელ მუშაობას სოფლის მეურნეობის დარგში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი ითვალისწინებენ საქართველოში ხორბლის მოყვანის გადიდებას იმ ვარაუდით, რომ უახლოეს წლებში დაკმაყოფილებულ იქნას რესპუბლიკის მთელი მოთხოვნილება საკუთარი პურით. ეს ამოცანა უნდა გადაწყდეს როგორც ხორბლის მოსავლიანობის გადიდებით, ისე მისი ნათესი ფართობების მკვეთრი გაზრდით.

დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი მიწების ათვისებას. ამ მიმართულებით რესპუბლიკაში ფართოდ არის გაჩაღებული მუშაობა. საჭიროა ახალი მიწების ასათვისებლად მაქსიმალურად გამოვიყენოთ მტს-ებისა და კოლმეურნეობათა ის შესანიშნავი ტექნიკა, რომელიც მათ მოეპოვებათ.

საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სარწყავი სისტემების მშენებლობის ღონისძიებათა განხორციელებას. თავის მოხსენებაში ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა გააშუქა ის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც საკავშირო მთავრობის მიერ დასახულია წყალთა მეურნეობის მშენებლობის დარგში. 1951-1957 წლებში მარცვლეულის რაიონებში ახალი სარწყავი ფართობები უნდა გადიდდეს 282 ათასი ჰექტარით, არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია უნდა მოხდეს 118 ათას ჰექტარზე. მტკიცე საფუძველი ეყრება მექანიკური რწყვის ფართოდ განვითარებას. **ამოცანა ის არის, რომ აქედანვე მოვემზადოთ წყალთა მეურნეობის სამუშაოთა მომავალი წლის პროგრამის შესასრულებლად.**

საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია. განსაკუთრებით მკვეთრად დიდდება ხორბლის სამუშაოთა მექანიზაციის დონე. მოეწყობა 30 ახალი მტს-ი. 1951-1957 წლებში საქართველოს მტს-ების სატრაქტორო პარკი ერთიასამად გადიდდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიული ორგანიზაციების, მტს-ების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანად დასახა მტს-ების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება, ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა.

დიდი სტალინის თანამებრძოლმა ამხანაგმა ლ. ბერიამ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში 1950 წლის 9 მარტს მიგვითითა ხორბლის ადგილობრივი ძვირფასი ჯიშის — დოლის პურის ფართო გავრცელების საჭიროებაზე. ამ მითითების შესასრულებლად საქართველოს ბოლშევიკები ენერგიულად მუშაობენ. მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. საჭიროა გავაძლიეროთ სასელექციო მუშაობა, უზრუნველვყოთ დოლის პურის და სხვა ჯიშების სამეურნეო თვისებათა შემდგომი გაუმჯობესება, ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ახალი უხვმოსავლიანი ხორბლის ჯიშების გამოყვანა, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში ფართო შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება და კოლმეურნეობებთან მათი საწარმოო კავშირის განმტკიცება.

დიდი რაოდენობით არის გამოყოფილი მარცვლეული მეურნეობისათვის მინერალური სასუქები. 1951-1957 წლებისათვის დაწესებულია ხორბლეულის ნათესში მინერალური სასუქების შეტანის ნორმები. საბჭოთა მთავრობის ეს დახმარება უნარიანად უნდა გამოვიყენოთ. **ამისათვის აუცილებელია კარგად დავეუფლოთ მინერალური სასუქის გამოყენების ტექნიკას.** რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებებთან ეწყობა აგროქიმიური ლაბორატორიები, რომელნიც დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენს კოლმეურნეობებს თვითეულ ცალკე შემთხვევაში ნიადაგის თავისებურებათა გათვალისწინებით მინერალური სასუქების შეტანის ნორმების დადგენაში. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. აუცილებელია სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მეტი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს მინერალური სასუქების სწორად გამოყენების საქმეში.

პლენუმმა პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ ამოცანად დასახა მეთესლეობის საქმის შემდგომი გაუმჯობესება.

საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის საქმეს ამ შემოდგომაზე ეყრება საფუძველი. ოქტომბერი საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გადამწყვეტი თვეა. უკანასკნელ დღეებში მოსულმა წვიმებმა შექმნა ყველა პირობა თესვის სამუშაოთა დასაჩქარებლად. **საშემოდგომო თესვა ძირითადად ოქტომბერში უნდა დამთავრდეს, — ასეთია ამოცანა.**

სერიოზული დავალებებია მოცემული საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგში. ახალი დადგენილებით ღორის სულადობის საერთო გამოსავლიანობა რესპუბლიკაში 1957 წლის 1 იანვრისათვის 1 მილიონამდე უნდა იქნას აყვანილი, ხოლო ფრინველის სულადობის გამოსავლიანობამ 10 მილიონი ფრთა უნდა შეადგინოს, მათ შორის ინდაურმა 1.200 ათასი ფრთა. ამ დავალებათა წარმატებით შესრულების შედეგად ჩვენს რესპუბლიკაში რამდენჯერმე გადიდდება ხორცის, რძის, ერბო-კარაქის წარმოება. **საკვები ბაზის გაფართოება, საძოვრების გაუმჯობესება და კეთილმოწყობა, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გადაჭრით გაუმჯობესება — ასეთია პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანები მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში.**

ახალი დიდი პროგრამაა დასახული აგრეთვე მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების საქმეში. უზრუნველყოფილია მძლავრი ტექნიკური ბაზის შექმნა ჩვენი მეღვინეობისათვის.

საქართველოს ბოლშევიკების ღირსებისა და სახელის საქმეა შეუპოვრად იბრძოლონ მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურებისა და კვების მრეწველობის სამინისტროებს დაავალა ისე მოაწყონ ვაზის მოვლა, რომ რესპუბლიკაში ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აყვანილ იქნას 55-60 ცენტნერამდე. საბჭოთა მთავრობის დადგენილებაში ახალია ის, **რომ მომავალში გაშენებული იქნება ვაზის მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული უძვირფასესი სამრეწველო ჯიშები.**

ახალ ამოცანებთან შეფარდებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მასობრივი კვალიფიკაციის საკოლმეურნეო კადრების მომზადებას. ამასთანავე საჭიროა გაძლიერდეს სოფლის მეურნეობისათვის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადება, **განსაკუთრებით ნიადაგმცოდნეთა და სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადება.**

ახალ მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ამ მხრივ პარტიული ორგანიზაციები დიდი ამოცანების წინაშე დგანან. ამხანაგმა ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში თქვა:

„პარტიის რაიკომებმა უნდა უზრუნველყონ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ახალი დიდი ამოცანების შესაბამისად.

უნდა გავაძლიეროთ სოფლის კომუნისტების პასუხისმგებლობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მუშაობისათვის, პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის. აუცილებელია მოფიქრებული და უნარიანად დაყენებული ახსნაგანმარტებითი მუშაობით თვითეულ კოლმეურნეს და საბჭოთა მეურნეობის მუშას, სოფლის მეურნეობის თვითეულ სპეციალისტს გავაცნოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე საბჭოთა მთავრობის ახალ დადგენილებათა აზრი და მნიშვნელობა. ამ საფუძველზე უნდა დაირაზმოს ჩვენი ხალხის მთელი ძალები ამ დადგენილებათა შესასრულებლად."

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებანი პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის მიერ ჩვენი რესპუბლიკის ბოლშევიკებისა და ყველა მშრომელის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად. ახლა საქმე ეხება იმას, რომ ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ პლენუმის დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიული დადგენილებანი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება სოფლის მშრომელებს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი მამაცობისათვის. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებით თაოსნობას, კონკრეტულად უხელმძღვანელონ და ხელი შეუწყონ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სისტემატურად შეამოწმონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე გამოავლინონ და გამოასწორონ შემჩნეული ნაკლოვანებანი, **ფართოდ დანერგონ მეცნიერების მიღწევები და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება.**

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს ბოლშევიკები, ერთგული სტალინელის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილნი. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს მტკიცედ დარაზმავენ, რათა წარმატებით შეასრულონ საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის ახალი, პასუხსაგები დავალება სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის დარგში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

მოსკოვი

ნება მიბოძეთ მშვიდობისმოყვარე გერმანელი ხალხის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ჩემი საკუთარი სახელით გულითადი მადლობა გიძღვნათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის გამო თქვენი გულწრფელი მოლოცვისათვის.

გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე ძალები აძლიერებენ ბრძოლას ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის და დიდ საბჭოთა კავშირთან — მშვიდობის მსოფლიო ბანაკის მძლავრ ხელმძღვანელთან — მჭიდრო მეგობრობით თავიანთ წვლილს შეიტანენ მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

ოტო გროტევოლი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

1950 წლის 13 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ ნ. შვერნიკს

მოსკოვი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით და მთელი გერმანიის ნამდვილ დემოკრატთა სახელით გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით მთელ საბჭოთა ხალხს მეგობრული მოლოცვისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების პირველ წლისთავთან დაკავშირებით. გერმანელ ხალხს შეგნებული აქვს, რომ მისი წარმატებანი სამეურნეო, კულტურულ და სახელმწიფო მშენებლობაში მიღწეულია საბჭოთა არმიის გმირულ გამარჯვებათა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის უანგარო და დიდსულოვანი დახმარების მეოხებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ერთი წელი ანტიიმპერიალისტურმა ძალებმა გერმანიაში იმისათვის გამოიყენეს, რომ გენერალისიმუს სტალინის ისტორიულ განსაზღვრათა შესაბამისად დარაზმათ გერმანელ ხალხში არსებული დიდი პოტენციალური ძალები ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შესაქმნელად.

ვილჰელმ პიკი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

1950 წლის 14 ოქტომბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ა. ი. ვიშინსკის

მოსკოვი

გთხოვთ, ბატონო მინისტრო, მიიღოთ ჩემი უგულითადესი მადლობა თქვენი მოლოცვისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი წლისთავის გამო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა მომავალშიც მიმართული იქნება მძლავრ საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის უფრო განმტკიცებისაკენ, რათა დიდი სახელმწიფო მოღვაწის — სტალინის ისტორიული სიტყვების სრული შესაბამისობით მხარი დავუჭიროთ ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეს.

გეორგ დერტინგერი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

1950 წლის 14 ოქტომბერი.

გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია

16 ოქტომბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია.

კონფერენციაზე შეიკრიბა ათასზე მეტი დელეგატი—მუშები, მეცნიერები, კოლმეურნეები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები, ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სცენის სიღრმეშია საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები. განიერ ტრანსპარანტზე საბრძოლო მოწოდებაა: „მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა".

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის დავალებით კონფერენცია გახსნა მწერალმა ა. ა. ფადეევმა. მან დელეგატებს მიმართა მოკლე სიტყვით, რომლის დასასრულ დღეგრძელობა უსურვა მშვიდობას მთელ მსოფლიოში, ხალხთა მეგობრობას, საბჭოთა კავშირს—მშვიდობის ბურჯს, მშვიდობის მედროშეს, კაცობრიობის დიდ მეგობარს ამხანაგ სტალინს.

კონფერენციის ყველა მონაწილე ფეხზე დგება და მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციას მართავს ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი 50 კაცის შემადგენლობით. პრეზიდიუმის წევრთა შორის არიან გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, დიდი მეცნიერები, წარმოებისა და მიწათმოქმედების სახელგანთქმული სტახანოველები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, სამღვდელოების წარმომადგენლები.

კონფერენცია იღებს წინადადებას, რომ პრეზიდიუმში მიწვეულ იქნას აგრეთვე მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოსკოვს ჩამოსული დელეგატი, მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი კროუტერი.

კონფერენციის მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხალხთა დიდი ბელადის, მშვიდობის მედროშის ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

შემდეგ კონფერენცია ირჩევს სამდივნოს, სამანდატო კომისიას, სარედაქციო კომისიას და ამტკიცებს დღის წესრიგს.

მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: 1. საბჭოთა ხალხი მშვიდობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, 2. მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის დელეგატების არჩევნები, 3. მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის არჩევნები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა მწერალმა ნ. ს. ტიხონოვმა.

— ჩვენი მძლავრი სამშობლოს ყველა კუთხიდან მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწოდებით შეიკრიბნენ საბჭოთა ადამიანები მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციაზე, — ამბობს ამხ. ტიხონოვი.—ისინი შეიკრიბნენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, რომლის შესახებაც, მოსკოვისადმი მისი 800 წლისთავის დღეს გაგზავნილ მისალმებაში, ამხანაგმა სტალინმა თქვა:

„მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ იგი დაუღალავად ამჟღავნებს ახალი ომის გამჩაღებლებს, მშვიდობის დროშის გარშემო იკრებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს. ცნობილია, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხები იმედით შესცქერიან მოსკოვს, როგორც დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს დედაქალაქს და როგორც მშვიდობის მძლავრ ბურჯს".

ამხ. ტიხონოვმა დამსწრეთ მოაგონა, რომ მშვიდობის მომხრეთა პირველი საკავშირო კონფერენციის დღიდან ერთ წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა და აღნიშნა, რომ ეს წელიწადი მდიდარი იყო საბჭოთა ხალხის ახალი შესანიშნავი წარმატებებით, რომელიც მტკიცე რწმენით აშენებს კომუნიზმს.

ყველა ქვეყნის ხალხის ფართო მასები საბჭოთა კავშირს შესცქერიან როგორც თავიანთ ყველაზე ძლიერ იმედს, როგორც მშვიდობის ქამქამა შუქურას, რომელიც გზას გვიჩვენებს საერთაშორისო უშიშროების მტკიცე უზრუნველყოფისაკენ. განვლილ წელს, ამბობს ამხ. ტიხონოვი, ძალიან გაიზარდნენ და განმტკიცდნენ მშვიდობის საერთაშორისო ფრონტის ძალები, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი.

დიდი ჩინელი ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნამ უფრო მეტად გააძლიერეს მშვიდობის ბანაკი. ჩინეთში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატება ახალი უძლიერესი ლახვარი იყო მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი სისტემისათვის. ხელშეკრულებამ სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ძმური კავშირის შესახებ ჩვენი დიდი ხალხების მეგობრობა გადააქცია ისეთ მძლავრ ძალად მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში, რომლის მსგავსი არ არის და არც ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში.

დასავლეთში იშვა გერმანიის მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის შექმნა, ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, მობრუნების პუნქტია ევროპის ისტორიაში.

მშვიდობისათვის ბრძოლა დღითიდღე ჩაღდება. ყველა ხალხის თვალი მიპყრობილია საბჭოთა კავშირისა და მისი უდიდესი ბელადისაკენ—მშვიდობის პირველი მედროშისაკენ, რომელმაც დედამიწის ყველა უბრალო ადამიანის გულში ჩანერგა მშვიდობისათვის, ხალხთა დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლის სამართლიანი საქმის ურყევი რწმენა, — გენიალური ბელადისაკენ, ჩვენი მეგობრის, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა მთელი მსოფლიოს ხალხთა ბედნიერებისათვის, ჩვენი მშობლიური სტალინისაკენ.

კონფერენციის მონაწილენი ამ სიტყვებს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის დღეს ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებული ხალხები და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მხურვალედ მიესალმნენ კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარს, რომლის სახელიც მშვიდობისა და კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის სიმბოლოა.

ამ ისტორიულ დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა ბრძანებულება ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო სტალინური პრემიების დაწესების შესახებ. ამ ბრძანებულებაში ნათქვამი იყო, რომ პრემიები მიენიჭება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოქალაქეებს, მიუხედავად მათი პოლიტიკური, რელიგიური და რასობრივი განსხვავებისა, თვალსაჩინო დამსახურებისათვის ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ და მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში.

ამხ. ტიხონოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სტალინური პრემიების დაწესება საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარეობის ახალი ბრწყინვალე დადასტურებაა, რომელიც თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე დაუღალავად იბრძვის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

ამხ. ტიხონოვმა დამსწრეთ მოაგონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, რომელმაც ამა წლის 19 ივნისს მოისმინა ცნობა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის წინადადების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ განაცხადა, რომ მზად არის ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოებთან მშვიდობის

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ დ. ნ. უზნაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დაევალა 1951-1953 წლების განმავლობაში გამოსცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ დ. ნ. უზნაძის ნაშრომთა სრული კრებული.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის არსდება დ. ნ. უზნაძის სახელობის ორი სტიპენდია 450 მანეთის რაოდენობით თვითეული, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში—ერთი სტიპენდია ასპირანტისათვის 700 მანეთის რაოდენობით.

პროფესორ დ. ნ. უზნაძის სახელი მიეკუთვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დაევალა დ. ნ. უზნაძის საფლავზე 1951 წელს დადგას მისი ბიუსტი.

დ. ნ. უზნაძის ქვრივს ზ. ა. უზნაძეს დაენიშნა სამუდამო პერსონალური პენსია 960 მანეთის რაოდენობით თვეში.

დ. ნ. უზნაძის დაკრძალვის ხარჯები იკისრა სახელმწიფომ. (საქინფორმი).

გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია

(დასასრული)

მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის წინადადებათა შესასრულებლად საჭირო ზომების შემუშავებასა და განხორციელებაში.

საბჭოთა ადამიანებმა — მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ, მოს-

[illegible]

ბულ შეიარაღებას. ამერიკაში, ხოლო მის შემდეგ ინგლისსა და საფრანგეთშიც, გამოქვეყნდა შეიარაღების ახალი პროგრამები, რომლებიც გამოიხატება სამხედრო საჭიროებისათვის ზღაპრული ასიგნობებით. გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს ევროპის არმიების

[illegible]

ლაქებსა და სოფლებს. ასობით ადამიანთა სიცოცხლე მსხვერპლად ეწირება იმპერიალისტებს. ინგრევა ქალაქები, მრეწველობა, რკინიგზები.

მშვიდობის მომხრეთა მძლავრ მოძრაობას, რომელსაც აქტიურად შეემატა და კვლავაც ემატება მთელი დედა-

[illegible]

მიესალმებიან რა პროგრესისტ მხატვრებს, რომლებიც ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმეს იცავენ, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მხატვრებს უფლება აქვთ მისცენ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის იმ მხატვრებს, რომლებიც ამ კაცთმოძულეთ საქმეში არ

[illegible]

და ცა თავშესაფარი ჰპოვეს ჩან კაი-შის ხროვის უბადრუკმა ნაშთებმა.

— კორეის ამბები, — განაგრძობს მომხსენებელი,—იმას მოწმობს, რომ ომის გამჩაღებლები აგრესიის მომზადებიდან აგრესიის პირდაპირ აქტებზე გადადიან. ამერიკის შეერთებული შტატები სათავეში ჩაუდგნენ გამალე-

[illegible]

— მხატვართა შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა მომანდეს განვაცხადო მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციაზე, — თქვა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა, სახალხო მხატვარმა ა. გერასიმოვმა, — რომ საბჭოთა მხატვრები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას.

ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში ინტელიგენციას საპატიო ადგილი ეკუთვნის, მის ხელშია მშვიდობის პროპაგანდის მძლავრი საშუალება—ხელოვნება.

[illegible]

ისინი იმედოვნებენ, რომ გაიმარჯვებენ მშვიდობისათვის ამ ბრძოლაში. მათ უნდა გაიმარჯვონ! ჩვენთან არის ყველა ხალხის, მშვიდობისათვის ყველა მებრძოლის იმედი, დიდი გენიოსი — სტალინი! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რაც ოვაციად იქცევა).

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ს. ი. ვავილოვი.

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი გულისწყრომით ლაპარაკობს, რომ ამერიკელ აგრესორთა „მფრინავი ციხეები“ ულმობლად ბომბავენ კორეის ქა-

[illegible]

რომლებიც ამზადებენ ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას, ცდილობენ სისხლში ჩაახრჩონ კორეელი ხალხი.

— ჩვენ გვჯერა, რომ გაიმარჯვებს მშვიდობა, ვინაიდან მშვიდობის მედროშეა პროგრესული კაცობრიობის ბელადი და მასწავლებელი, ჩვენი საყვარელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. (ტაში).

ნ. ზარიანის გამოსვლით დამთავრდა საღამოს სხდომა.

მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის

დღეს მოსკოვში იხსნება მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია. ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან დიდი სოციალისტური მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს დედაქალაქში შეიკრიბნენ მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის წარგზავნილები, რათა გამოთქვან ყველა საბჭოთა ადამიანის ურყევი მისწრაფება მშვიდობისაკენ.

[illegible]

ობები — მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე მრისხანედ გმობს ამერიკელ აგრესორთა სისხლისმღვრელ დანაშაულს კორეაში, რომლებიც ცდილობენ სისხლში ჩაახრჩონ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, დაიმონონ თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხი, რომელიც გმირულად იცავს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას.

[illegible]

ყმეთ უმეტესობის საქმით. ჩვენი ქვეყნის მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ ერთსულოვნად მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვისა და სამხედრო დამნაშავედ იმ მთავრობის გამოცხადების შესახებ, რომელიც პირველი გამოიყენებს ამ იარაღს. გამოხატავდა რა საბჭოთა ხალხის ნებას, სსრ კავშირის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიის განსახილველად შეიტანა დეკლარაცია ახალი ომის საფრთხის აღკვეთისა და მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების შესახებ. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც გვიჩვენებს გზას საყოველთაო მშვიდობისაკენ, მხურვალედ მოიწონეს ჩვენი ქვეყნის ხალხებმა და ასეულ მილიონობით ადამიანმა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ.

მუშები, კოლმეურნეები, მწერლები და მეცნიერები, ინჟინრები და მსახი-

[illegible]

ბიან მთელი მშვიდობისმოყვარე ხალხები. ამ დროშის ქვეშ სსრ კავშირის მშრომელებთან ერთად დგანან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები, მთელი მოწინავე კაცობრიობა. არ არის მსოფლიოში ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მშვიდობის დამცველი ხალხების ამ მძლავრი ფრონტის დაძლევა. მშვიდობის მომხრეთა აურაცხელი არმია ჩაფუშავს ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტ აგრესორთა სისხლისმღვრელ გეგმებს, დაიცავს მშვიდობას.

მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა მსოფლიო არმიის პირველ რიგებში კვლავ იქნება გმირი საბჭოთა ხალხი — კომუნიზმის მშენებელი ხალხი, რომელსაც წინ მიუძღვის მშვიდობის დიდი მედროშე, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

„პრავდის“ 16-X მოწინავე

ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 15 ოქტომბრის ცნობებით)

დათესილია 139.125 ჰექტარი

საქართველოს კოლმეურნეობებში ოქტომბრის მესამე ხუთდღიურში 33.224 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები დაითესა, ხოლ კი 15 ოქტომბრისათვის დათესილია 139.125 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 49,4 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთში თესვის დავალება 30,8 პროცენტით არის შესრულებული, ახალქალაქის რაიონში—102,5, ბოგდანოვკის—558,7, წალკის—168,3, ორჯონიკიძის—110,2 დმანისის—98,6, თიანეთის—92,6, წითელწყაროს—80,3, თბილისის გარეუბნის—74,2, ახალციხის—62,9, მცხეთის—61,6, ხაშურის—61,4, ყვარლის—59,4, ლაგოდეხის—58,4, ცაგერის—57,7, დუშეთის — 55, თეთრი წყაროს—48,3, სიღნაღის—47,6, ახმეტის—40,2, ადიგენის—19,7, ასპინძის—44,2, ხაშურის—21,2, ქარელის—25,9, გორის—38, კასპის—27,3, ბორჯომის—44,4, გურჯაანის—32,4, კაჭრეთის—33,5, თელავის—34,8, გარდაბნის — 51,6, მარნეულის—39,9, ბოლნისის—9,5, საგარეჯოს—50,5, ქლუხორის—46, ამბროლაურის—16,1, ონის—24,6, ჩიათურის — 30, ვანის რაიონში—3,3 პროცენტით.

15 ოქტომბრისათვის საშემოდგომო თესვა დაწყებული არ ჰქონდათ ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ქვემო და ზემო სვანეთის რაიონებს.

მზრალად მოხნულია 86.207 ჰექტარი

15 ოქტომბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში მზრალად ხვნის გეგმა შესრულებულია 45,4 პროცენტით, მოხნულია 86.207 ჰექტარი.

აფხაზეთში გეგმა შესრულებულია 8,5 პროცენტით, სამხრეთ ოსეთში—45,6, ბოგდანოვკის რაიონში—94,7, ხაშურის—91,1, წითელწყაროს—68,1, წალკის—66,8, ქარელის—64,2, ბორჯომის—58,5, ახალქალაქის—56, ახალციხის—56, სიღნაღის—55,7, ადიგენის—32,8, ასპინძის — 46,9, საგარეჯოს—46,4, გორის—44,4, დმანისის—42, თბილისის გარეუბნის—40,1, კასპის — 11,1, დუშეთის—37,3, თეთრი წყაროს—20,5, თიანეთის—13,5, გურჯაანის—38,6, კაჭრეთის—40, თელავის—24,7, ახმეტის—19,3, ყვარლის—11,7, ლაგოდეხის—17,2, მცხეთის—9,3, გარდაბნის—34,9, მარნეულის—12,6, ბოლნისის—21, თერჯოლის—35,3, ზესტაფონის—32,7, ვანის—16,5, წულუკიძის—11, სამტრედიის—20,8, წყალტუბოს—18, ქუთაისის—14,2, აბაშის რაიონში—19,6 პროცენტით.

მზრალად ხვნა 15 ოქტომბრისათვის დაწყებული არ იყო ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მაიაკოვსკის, ტყიბულის, ამბროლაურის, ცაგერისა და ქლუხორის რაიონებში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მეექვსე გამოცემა უზბეკურ ენაზე

ტაშკენტი, (საქდესი). უზბეკეთის სახელმწიფო გამომცემლობამ უზბეკურ ენაზე გამოუშვა მეექვსე გამოცემა ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური შრომისა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი“.

პალმირო ტოლიატის გამოსვლა იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

…მბერი. (საკდესი). გაზეთმა … ყნა ტექსტი იტალიის კომ… …რი მდივნის პალმირო ტო… …ა იტალიის კომპარტიის ცენ… …ის პლენუმზე.

…

ის პოლიტიკა კაცობრიობას უსახავდა გზას, რომლითაც მთელი მსოფლიოს ხალხები თავს იხსნიდნენ საშინელი შემოთებისაგან. მაგრამ ამერიკის იმპერიალიზმმა და მისმა სატელიტებ…

…

იტალიელ ხალხს არაფერი არ ემუქრება, არც საბჭოთა კავშირის მხრივ, არც სახალხო დემოკ…

…

მოხსენების დასასრულ ტოლიატი შეჩერდა პარტიაში შექმნილ მდგომარეობაზე და მომავალი ყრილობის ამოცანებზე.

მსოფლიო პირველობა სიმძიმეთა აწევაში

…ᲐᲠᲘᲖᲘ, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სა… …ს პარიზში შაიოს სასახლეში გაიხსნა საერ… …რისო შეჯიბრება პირველობაზე სიმძიმის …ვაში. პირველ დღეს შეჯიბრებაში მონაწი… …ბა მიიღეს საბჭოთა კავშირის, ამერიკის …რთებული შტატების, ინგლისის, საფრანგე… …შვეციის, შვეიცარიისა და ეგვიპტის ქვე… …ბუქე წონის სპორტსმენებმა.

…ლასიკურ სამჭიდში პირველი ადგილი დაი… …ფაიადმა (ეგვიპტე), მისი შედეგია 327,5 კი…გრამი; მეორე ადგილი დაიკავა ლოპატინმა (… კავშირი)—317,5 კილოგრამი, შემდეგი …ან კრეისი (ინგლისი)—305 კილოგრამი, ერი…ნი (შვეცია) — 295 კილოგრამი, ტომიტა (ამე…რიკის შეერთებული შტატები)—292,5 კილო…გრამი, ერალი (საფრანგეთი)—290 კილოგრამი, … (შვეიცარია)—237,5 კილოგრამი.

…ᲐᲠᲘᲖᲘ, 14 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს …იზში გრძელდებოდა შეჯიბრება მსოფლიო …ველობაზე სიმძიმეთა აწევაში. შეჯიბრების მეორე დღეს მონაწილეობა მიიღეს 56 კილოგრამამდე წონის სპორტსმენებმა.

კლასიკურ სამჭიდში პირველი ადგილი მოცემული წონის კატეგორიაში დაიკავა ნამჯუმ (ირანი). მისი შედეგია 310 კილოგრამი; მეორე ადგილზეა ჩიმიშკიანი (სსრ კავშირი)—305 კილოგრამი; მესამე ადგილზე—მაჰგუბი (ეგვიპტე) — 297,5 კილოგრამი. შემდეგი ადგილები დაიკავეს ამერიკის შეერთებული შტატების, შვეციის, საფრანგეთის, ინგლისისა და შვეიცარიის წარმომადგენლებმა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 16 ოქტომბერი. (საკდესი). საერთაშორისო შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე სიმძიმეების აწევაში, რაც სამ დღეს მიმდინარეობდა პარიზში, დამთავრდა 15 ოქტომბერს საღამოს მძიმე წონის სპორტსმენთა გამოსვლით. ძალოსანთა საბჭოთა გუნდმა მოაგროვა 14 ქულა და მესამე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი (18 ქულა), მეორეზე—ეგვიპტის გუნდი (15 ქულა).

საბჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე გამარჯვება

…ᲔᲜᲔᲪᲘᲐ, 15 ოქტომბერი. (საკდესი). საერ…თაშორისო საჭადრაკო ტურნირი ვენეციაში …ჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე გამარჯ…ვებით დამთავრდა. საერთაშორისო საჭადრაკო …ტურნირის მონაწილეთა ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: პირველი ადგილი დაიკავა …გროსმაისტერმა კოტოვმა (სსრ კავშირი)—12,5 …ქულა; მეორე ადგილი—გროსმაისტერმა სმისლოვმა (სსრ კავშირი)—12 ქულა; მესამე ადგილი — როსოლიმომ (საფრანგეთი) — 10 ქულა; მეოთხე ადგილი—პახმანმა (ჩეხოსლოვაკია)—9,5 ქულა და სხვ.

ტურნირის დამსწრე მრავალრიცხოვანი საზოგადოება ტაშით მიესალმა საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვებას.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პაკ ხენ ენის პროტესტი

ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘ, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ფხენიანის რადიომ გადასცა ტექსტი პროტესტისა, რომელიც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პაკ ხენ ენმა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს.

„კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას,—ნათქვამია პროტესტში, — მოეპოვება მრავალი დადასტურებული ფაქტიური მასალა, რომელიც მოწმობს, რომ შეერთებული შტატები კორეელი ხალხის წინააღმდეგ ომში იყენებენ იაპონელ სამხედრო მოსამსახურეებს. მაგალითად, სეულის რაიონში ამერიკის ჯარებთან ერთად ბრძოლებში მონაწილეობდა იაპონელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. ჩხოლვონის რაიონში სამხრეთ კორეის ჯარებთან ერთად ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა იაპონელთა ერთი ასეული. ლისინმანელთა არმიის მე-7 და მე-8 დივიზიებში მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან იაპონელები.

კორეაში შეიარაღებულ ინტერვენციაში იაპონელ სამხედრო მოსამსახურეთა გამოყენება შეერთებული შტატების მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და იაპონიის საკითხზე ომისშემდგომი პერიოდის საერთაშორისო შეთანხმებათა კიდევ ერთი უხეში დარღვევაა.

კორეაში შეიარაღებულ ინტერვენციაში იაპონელ სამხედრო მოსამსახურეთა გამოყენება აშკარავებს ამერიკის იმპერიალიზმის საზარელ აგრესიულ გეგმას, რომელიც მიმართულია არა მარტო კორეელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ აზიის ყველა ხალხის წინააღმდეგაც. ამას ადასტურებენ იაპონელ იმპერიალისტებსა და შეერთებულ შტატებს შორის დადებული საიდუმლო შეთანხმებანი, რომლებიც მიმართულია იაპონიის იმპერიალიზმის აღორძინებისაკენ და კორეასა და აზიის სხვა ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ.

იაპონელი სამურაები, რომლებიც კვლავ გამოჩნდნენ ჩვენს აღმოსავლეთში, კორეელ ხალხს მოაგონებენ იაპონელთა ბატონობის შავბნელ პერიოდს.

ის გარემოება, რომ იაპონელი სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობენ კორეელი ხალხის წინააღმდეგ წარმოებულ ომში, რომელიც ამერიკელმა იმპერიალისტებმა გააჩაღეს, საქვეყნოდ აშკარავებს შეერთებული შტატების ნამდვილ ზრახვებს კორეის მიმართ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმის შეურაცხმყოფელი გამოყენება ამერიკის მტაცებლური იმპერიალიზმის მიერ, რომელიც ცდილობს დაიმონოს კორეელი ხალხი და გადააქციოს იგი საზარბაზნე ხორცად მესამე მსოფლიო ომისათვის, რასაც ამერიკელი იმპერიალისტები ამზადებენ, ისეთი ფაქტია, რომელსაც ვერ დაუმალავენ კორეელ ხალხს და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს.

კორეელი ხალხის წინააღმდეგ ომში იაპონელ სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობის ფაქტი ადასტურებს, რომ ლი სინ მანის ხროვამ, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ბატონობა, ჩაიდინა საზარელი დანაშაული სამშობლოს წინაშე, არ მოერიდა კორეელი ხალხის ინტერესებისადმი ღალატსაც კი, და გადაიქცა ამერიკის, აგრეთვე იაპონიის იმპერიალიზმის მსახურად.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, აცნობებს რა ზემოხსენებულ ფაქტებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, გადაჭრით აცხადებს პროტესტს საერთაშორისო შეთანხმებათა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ახალი დარღვევის წინააღმდეგ.

იმედი მაქვს, რომ ამ განცხადების შინაარსს გადასცემთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანას. გთხოვთ მაცნობოთ, რა ღონისძიებებს მიიღებთ შემდგომში ამ საკითხთან დაკავშირებით".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია

პოლიტიკური კომიტეტის 13 ოქტომბრის სხდომა

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე დამთავრდა საერთო დისკუსია იმ საკითხზე, რომელსაც ეწოდება „გაერთიანებული მოქმედება მშვიდობის სასარგებლოდ". სიტყვები წარმოთქვეს ისრაელის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებმა.

ისრაელის წარმომადგენელმა ებანმა თავისი სიტყვის დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის თანხმობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების წარმატებით დასაცავად. ამასთან დაკავშირებით მან მხარი დაუჭირა სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილ რეზოლუციების პროექტებს, რომლებიც მოუწოდებენ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ დიდ სახელმწიფოებს კონსულტაცია გაუწიონ ერთმანეთს წესდების 106-ე მუხლის შესაბამისად, რათა იმოქმედონ მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად, აგრეთვე მიიღონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ უსწრაფესად განახორციელონ წესდების ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მიერ უშიშროების საბჭოს განკარგულებაში შეიარაღებული ძალების გადაცემას.

ისრაელის წარმომადგენელი შეეხო შვიდთა რეზოლუციის პროექტს და განაცხადა, რომ მისი დელეგაცია ძირითადად მხარს უჭერს ამ პროექტს. მაგრამ ებანმა შეიტანა მთელი რიგი შესწორებანი. შვიდი სახელმწიფოს პროექტის პრეამბულში ისრაელის მიერ შეტანილი პირველი შესწორება ხაზგასმით აღნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრის მოვალეობას გამოძებნონ შესაძლებლობანი, რათა მშვიდობიანი საშუალებით მოაწესრიგონ წამოჭრილი საერთაშორისო კონფლიქტები. ისრაელის დელეგაციის მეორე შესწორება წინადადებას იძლევა შვიდთა რეზოლუციით გათვალისწინებული ღონისძიებანი (გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევა და სხვ.) გამოიყენონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 106-ე მუხლით გათვალისწინებული დიდ სახელმწიფოთა კონსულტაციები ჩიხში მოექცა. ასეთი კონსულტაციების საჭიროება, როგორც ცნობილია, აღნიშნულია სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტში.

ისრაელის შემდეგი შესწორება ეხება შვიდთა რეზოლუციის პროექტის „ა" კარს. იგი წინადადებას იძლევა გენერალურ ასამბლეას მიეცეს რწმუნება გამოიტანოს რეკომენდაციები მოქმედების შესახებ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა მოხდება მშვიდობის ნამდვილი დარღვევა თუ აგრესიის აქტი. როგორც უკვე ვიუწყებოდით, შვიდთა რეზოლუციის პროექტის ახლანდელი რედაქცია ითვალისწინებს გენერალური ასამბლეის მოქმედებას „მშვიდობისათვ საფრთხის" არსებობის შემთხვევაშიც კი. ისრაელის წარმომადგენელმა, სხვა შესწორებათა შორის, წინადადება შეიტანა შვიდი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტში ამოიშალოს ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უშიშროების საბჭოს ყოველი შვიდი წევრის მიერ გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიების მოწვევას. მან აღნიშნა, რომ ასეთი პუნქტის მი- [...]

[...] დელეგაციები. დალესმა გაიმეორა ჩვეულებრივი გამოხდომანი საბჭოთა კავშირისა და მისი საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ. დალესმა ჩვეულებრივ გაილაშქრა უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ.

შემდეგ ამერიკის დელეგატი ცდილობდა გაემართლებინა შვიდი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის ის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს უშიშროების საბჭოს ყოველი შვიდი წევრის მიერ გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიების მოწვევას. განაცხადა რა, რომ ეს პუნქტი თითქოს არ ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, დალესი ამტკიცებდა: საგანგებო სესიების მოწვევის საკითხი თითქოს „პროცედურის საკითხია" და ამიტომ უნდა გადაწყდეს უშიშროების საბჭოს ყოველი შვიდი წევრის ხმის უბრალო უმრავლესობით.

დალესმა კომიტეტს აცნობა, რომ შვიდი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის ავტორები მზად არიან შეიმუშაონ რეზოლუციის ახალი პროექტი, რომელშიც შევა სხვა დელეგაციების მიერ შემოტანილი ზოგიერთი შესწორება და რომელიც „მოსპობს ეჭვებს", რაც გამოთქმული იყო კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის შექმნის შესახებ წინადადების გამო გამართული კამათის დროს.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ, რომელმაც შეაჯამა საერთო დისკუსია. მან თავისი სიტყვის დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხი დიდად აღელვებს ყველას, ვისაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებად და მიზნებად ის მიაჩნია, რომ თავიდან აგვაშოროს ახალი ომის საფრთხე, რომ განამტკიცოს მშვიდობა და უზრუნველყოს ხალხთა უშიშროება.

ა. ი. ვიშინსკიმ ხაზი გაუსვა განსახილველი საკითხის მნიშვნელობას და თქვა, რომ ამ დიდი და მნიშვნელოვანი დისკუსიის მსვლელობაში საკმაოდ დიდი ყურადღება მიექცა სსრ კავშირის დელეგაციის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილ წინადადებებს, აგრეთვე იმ წინადადებებს, რომლებისთვისაც მხარდაჭერა მან საჭიროდ მიაჩნდა, და ამნაირად თავისი წვლილი შეიტანა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების დიდ საქმეში.

ვიშინსკიმ შეაჯამა კომიტეტში რეზოლუციის პროექტის განხილვის შედეგები, ილაპარაკა ბოლივიის წარმომადგენლის გამოსვლაზე და მას უწოდა უხეში და ფორმით შეუწყნარებელი, ხოლო არსებითად ისეთი გამოსვლა, რომელიც წარმოადგენს დაცინვას ფაქტებისადმი, რომელიც აგებულია ამ ფაქტების დამახინჯებაზე, ისტორიის ფალსიფიკაციაზე.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა დაწვრილებით ილაპარაკა შვიდი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის ავტორებისა და მისი დამცველების გამოსვლებზე. მან გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, კანადისა და სხვ. წარმომადგენელთა გამოსვლები, რომლებიც იცავდნენ ამ პროექტს, აგრეთვე ჩამოაყალიბა სსრ კავშირის დელეგაციის თვალსაზრისი ყველა იმ ძირითად საკითხზე, რომლებიც წამოყენებულია საერთო დისკუსიის მსვლელობაში. ა. ი. ვიშინსკის სიტ- [...]

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობები

ფხენიანი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს დილით გამოაცხადა, რომ ყველა ფრონტზე გრძელდება გააფთრებული ბრძოლები.

კესონის (კაიძიო) ჩრდილოეთით და აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში მოწინააღმდეგე ავიაციისა და ტანკების ჭარბი ძალების დახმარებით განაგრძობს შემოტევას. სახალხო არმიის ნაწილები აჩაღებენ თავდაცვით ბრძოლებს და თავიანთი კონტრდარტყმებით მოწინააღმდეგეს დიდ ზარალს აყენებენ.

სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ პოკქ' (ფუკუკიო) და ანჯუს (ანსიუ) რაიონებში ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 5 ავიაგამანადგურებელი.

ფხენიანი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 15 ოქტომბრის საღამოს შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა:

ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები გააფთრებულ თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან შემომტევი მტრის წინააღმდეგ.

კესონის (კაიძიო) რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა რიცხობრივად ჭარბი მტრის წინააღმდეგ თავდაცვითი ბრძოლების უფრო ხელსაყრელ პირობებში მოსაწყობად უკან დაიხიეს თავდაცვის წინასწარ მომზადებულ ხაზებზე.

ამ რაიონში სახალხო არმიის ნაწილები მოწინააღმდეგის იერიშებს უპასუხებენ განუწყვეტელი კონტრიერიშებით და დიდ ზარალს აყენებენ მას.

აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა მედგარი თავდაცვითი ბრძოლები გააჩაღეს წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე და აკავებენ მოწინააღმდეგის შემოტევას.

ფხენიანი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს დილით გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები განაგრძობენ გააფთრებულ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

კესონის (კაიძიო) რაიონში მოწინააღმდეგე ავიაციისა და ტანკების დახმარებით შემოტევას განაგრძობს. ცალკე უბნებზე მოწინააღმდეგემ მოახერხა რამდენადმე წამოეწია წინ. სახალხო არმიის ნაწილებმა მტრის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლები გააჩაღეს ახალ თავდაცვითს ზღუდეებზე.

ფრონტის სხვა უბნებზე სახალხო არმიის ნაწილები განაგრძობენ გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

ფხენიანი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს საღამოს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები განაგრძობდნენ გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებს შემომტევი მტრის წინააღმდეგ.

კესონის (კაიძიო) რაიონში 38-ე პარალელის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ გამოიყვანა [...]

ადენის საავგ[...] ხელმძღვან[...] წარმო[...]

ბერლინი, 13 ოქტომბერი. [...]ლინის დემოკრატიული პრესა[...] ადენის სააგენტოს შემდეგ ცნ[...] 12 ოქტომბერს დასავლეთ [...] თებმა გამოაქვეყნეს წერილი, [...] დასავლეთი საოკუპაციო სახე[...] ლესმა კომისრებმა გაუგზავნე[...] ჭოთა საკონტროლო კომისიის [...] არმიის გენერალ ჩუიკოვს. [...] მთელ რიგ გამოხდომებს გერ[...] ტიული რესპუბლიკისა და ამ[...] ბრის სახალხო არჩევნების [...] თან დაკავშირებით ჩვენი [...] ესაუბრა გერმანიაში საბჭოთ[...] კომისიის ხელმძღვანელობასთ[...] წრეების წარმომადგენელს, რ[...] განაცხადა:

„გერმანიის დემოკრატიული[...] და 15 ოქტომბრის სახალხო ა[...] მდეგ დასავლეთ საოკუპაციო [...] გამოხდომები სრულიად უსა[...] ხავს მხოლოდ იმ მტრულ [...] გერმანიის დემოკრატიზაციის [...] მჟღავნდება დასავლეთ საოკუ[...] ფალთა ყველა მოქმედებაში.

მშვიდობისმოყვარე გერმანი[...] ლი რესპუბლიკის შექმნა და [...] პოლიტიკა გერმანელი ხალხის [...] ლია გერმანიის დემოკრატიულ[...] და ევროპაში მშვიდობის უზრ[...] მეში. შემთხვევითი როდია, რ[...] მოკრატიული რესპუბლიკის [...] ლურად ცნეს მთელმა რიგმა [...] სახელმწიფოებმა და მას ფართ[...] რი მთელი მსოფლიოს დემო[...] გადოებრიობამ, მაშინ როცა [...] რომ ბონის მთავრობა მარიონ[...] სახელმწიფოების საოკუპაციო ხელში.

თავის წერილში დასავლეთი[...] მ[...]სრები აყენებენ მთელი გერ[...]

[...]ისტ მხა[...] მშვიდო[...] იცავენ, [...]ხო დემო[...]ებს უფლე[...] ინგლისის, [...] რომლე[...] საქმეში არ [...]და ნათელი [...]ყურებდნენ [...]ბის, ეროვ[...] იმ თავა[...]ლსაც ეწე[...]ამსახურში [...] მხატვ[...] გამოთ[...] პატიოსა[...] იოვნის [...]ლებისმოყ[...]შობილურ [...] სსრ მეც[...]დენტი ამხ. [...]ლი მაქვს [...],—ამბობს [...]რთსულოვ[...] მიესალ[...]ტალინურ [...]იც გამო[...]ხის ფიქ[...] [...]კობს იმა[...]-სტალინ[...] მეოხებით [...]ბულ სო[...] გადაიქცა.

გერმანიის დემოკრა[...]

[...]ყვეტილე[...]რხის აგე[...]საზღვრო [...], რომე[...] [...]ალფაქე[...]ჯიკებთან [...]ბდა ამა[...] წელი, [...]აყვავდე[...]აციები. [...]შაკების [...]აშტიკი. [...] დებო [...] იგი, — [...]-წლის [...]ან. [...]აკობენ, [...]ლიომში [...] — დიდი [...] შემო[...]ა ადა[...]მისათ[...] საგმი[...] მომავ[...]

ბერლინი, 16 ოქტომბერი. [...] სააგენტოს ცნობით, გერმანიის [...] რესპუბლიკის შინაგან საქმე[...] შტაინჰოფმა პრეზიდენტ ვილჰელ[...] დგინა მიმოხილვა, რომელშიც მ[...] წლის სახალხო არჩევნების წინა[...] 1950 წლის 16 ოქტომბრის დილ[...] ვის. მიმოხილვაში ნათქვამია:

„არჩევნები სავსებით წესიერა[...] ნის სრული შესაბამისობით.

ჩვენმა ხალხმა დღემდე უმაგა[...] ლოვნებითა და დარაზმულობით [...] მსოფლიოს, რომ მზად არის იბრძ[...] დობისათვის, ერთიანი დემოკრატ[...] დობისმოყვარე გერმანიისათვის, [...] ერთიანობისათვის და მთელი ძალ[...] თქვენთან ერთად, დიდად პატივც[...]

მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის

დღეს მოსკოვში იხსნება მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია. ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან დიდი სოციალისტური მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს დედაქალაქში შეიკრიბნენ მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის წარგზავნილები, რათა გამოთქვან ყველა საბჭოთა ადამიანის ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი.

მთელ მსოფლიოში კვლავ გაისმის ამ დღეებში მოსკოვიდან მძლავრი ხმა საბჭოთა ხალხისა, რომელიც ფხიზლად დგას მშვიდობის დიადი საქმის სადარაჯოზე.

„...მოსკოვის დამსახურება ის არის, — წერდა ამხანაგი სტალინი სამი წლის წინათ მოსკოვისადმი მისალმებაში მისი 800 წლისთავის დღეს, — **რომ იგი წარმოადგენს მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლის მქადაგებელს, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მქადაგებელს. იმპერიალისტებისათვის ომი არის ყველაზე უფრო შემოსავლიანი საქმე. გასაკვირველი როდია, რომ იმპერიალიზმის აგენტები ცდილობენ ასე თუ ისე პროვოკაციულად გამოიწვიონ ახალი ომი. მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ იგი დაუღალავად ააშკარავებს ახალი ომის გამჩაღებლებს და მშვიდობის დროშის გარშემო იკრებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს. ცნობილია, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხები იმედით შესცქერიან მოსკოვს, როგორც დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს დედაქალაქს და როგორც მშვიდობის მძლავრ ბურჯს".**

მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია მშვიდობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაში. თავისი არსებობის პირველი დღიდან საბჭოთა სახელმწიფო უცვლელად იმყოფება მშვიდობისათვის, ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე. სსრ კავშირის მტკიცე, თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა ორგანულად გამომდინარეობს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ხასიათიდან.

საბჭოთა ადამიანები ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის სტალინურ პროგრამას. მშვიდობიანი შრომისაკენ, მტკიცე ხანგრძლივი მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისაკენ მიმართულია საბჭოთა ადამიანების ყველა აზრი და მისწრაფება.

მშვიდობისადმი ჩვენი ხალხის ამ გა- [...]

[...]ობები — [...] საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე მრისხანედ გმობს ამერიკელ აგრესორთა სისხლისმღვრელ დანაშაულს კორეაში, რომლებიც ცდილობენ სისხლში ჩაახრჩონ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, დაიმონონ თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხი, რომელიც გმირულად იცავს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას.

ემზადებოდნენ რა მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციისათვის, საბჭოთა ადამიანებმა ერთსულოვნად განაცხადეს თავიანთი ურყევი გადაწყვეტილება გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის, ახალი ომის წინააღმდეგ, რომელსაც ამზადებენ და აჩაღებენ იმპერიალისტები.

— მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციისათვის მზადების დღეებში, — წერენ სტალინგრადის მშენებელი მუშები, — ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი ხმა გაიგონოს მთელი დედამიწის ყველა ადამიანმა: მთელი საბჭოთა ხალხი მტკიცედ იცავს მშვიდობას, ჩვენი ხალხი კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ!

მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციაზე მოსკოვში ჩამოსული სოციალისტური შრომის გმირი, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე უკრაინელი ულიანა ბაშტიკი წერს:

„როცა მშვიდობაზე ლაპარაკობენ, თვალწინ ყოველთვის მიდგას დედამიწაზე ყველაზე ძვირფასი ადამიანის დიდი სტალინის სახე. იგი მოგვიწოდებს ჩვენ, უბრალო ადამიანებს, შრომისა და ბრძოლისაკენ მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის...

მთელი მსოფლიო იცნობს საბჭოთა კავშირის ნათელ და მტკიცე პოლიტიკას — მშვიდობის პოლიტიკას. ამ პოლიტიკას ხმას აძლევს მთელი ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხი. ჩვენს მშობლიურ სახელმწიფოს რწმენითა და იმედით შეყურებენ მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანები. მე, მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციაზე ლვოვის ოლქის კოლმეურნეთა წარმოგზავნილი, ჩემი თანამემამულეების სახელით ვაცხადებ:

— მთელ ჩვენს ძალებს მოვახმართ მშვიდობის დაცვას. ჩვენი შრომით განვამტკიცებთ ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს ძლიერებას!"

ამ სიტყვებით გამოხატულია ყველა საბჭოთა ადამიანის ერთიანი ნებისყოფა.

მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია იკრიბება იმ დღეებში, როცა ყველა ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მზადება მშვიდობის [...]

დასავლეთ გერმ[...] ნაწ[...]

ბრიტანეთის [...]

სომხარი მოქმედება ვიეტნამში

დღეს თეატრებში

[...]